მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	N 05.25.06.030.01.524
კვ.მ.	შენობა-ნაგებობა N1, 827.66 კვ.მ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან; • ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; • საიჯარო ხელშეკრულება N 1; 18 მარტი 2019; • შენობის აზომვითი ნახაზი; • ურთიერთშეთანხმების დოკუმენტი - 2022 წლის 9 სექტემბერი; • ვიზუალური დათვალიერების შედეგები.
შეფასება	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ფლობელობაში არსებულ ფართში (827.66 კვ.მ.) განთავსებულია 20 საკლასო ოთახი, 1 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, 1 ისტ -ის ლაბორატორია, 1 დირექტორის კაბინეტი, 1 სამასწავლებლო, 1 სამედიცინო კაბინეტი, 1 ბიბლიოთეკა, 1 სპორტული დარბაზი. საკლასო ოთახებში საერთო ჯამში განთავსებულია არსებული მოსწავლეების რაოდენობის (175) შესაბამისი ინდივიდუალური მერხი და სკამი (სკოლას ფლობელობაში აქვს სულ 250 მერხი და სკამი). ყველა საკლასო ოთახში დგას მასწავლებლის მაგიდა და სკამი, კედელზე განთავსებულია დაფები, სასწავლო თვალსაჩინოებები, მოსწავლეთა ნაშრომები, ექსპერტთა მიერ საკლასო ოთახების ფართის შეფასების შედეგებით დგინდება, რომ მათში საერთო ჯამში შესაძლებელია განთავსდეს 250 მოსწავლის მაგიდა და სკამი. **დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საკლასო ოთახების რაოდენობა და მათში განთავსებული მერხები და სკამები მორგებულია სკოლში არსებულ მოსწავლეთა რაოდენობას და საჭიროებებს.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შესყიდვის დოკუმენტაცია; • აზომვითი ნახაზები; • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის დიდ ეზოში მდებარეობს დახურული ტიპის სპორტული მინი დარბაზი და ღია ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები; • შესყიდვის დოკუმენტაცია;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში 1 საბუნებისმეტყველო კაბინეტია, რომელშიც განთავსებულია ქიმია-ბიოლოგიის და ფიზიკის ლაბორატორიები. კაბინეტში დამონტაჟებულია ონკანი. სასწავლო პროცესისთვის სათანადო ლაბორატორიული ინვენტარი და რეაქტივები დაცულია კარადებში. ოთახს აქვს დიდი ფანჯრები, <u>თუმცა ვიზიტის პერიოდში ლაბორატორიაში არ იყო დამონტაჟებული გამწოვი ფარი, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია.</u> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის დირექციამ ვიზიტის პერიოდშივე დაიწყო ზრუნვა გამწოვი ფარის შეძენა/დამონტაჟებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ლაბორატორიების ფლობის დოკუმენტაცია; • სასაქანლო ზედნადებები; • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები; • შესაბამისი საგნების მასწავლებლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას მიეწოდება წყალი და ელექტროენერგია, რაც დასტურდება გადახდილი ქვითრებითა და ფაქტობრივი გარემოებით. სკოლას გაფორმებულია აქვს ხელშეკრულებები სს ეპ ჯორჯიასთან და შპს ბათუმის წყალთან. უმეტესი საკლასო ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით, <u>თუმცა 3 საკლასო ოთახში პატარა ზომის ფანჯრებია, რომლებიც სრულად ვერ უზრუნველყოფენ დღის განათებას. შესაბამისად სკოლას მიეცა რეკომენდაცია ფანჯრების გადიდებასთან დაკავშირებით,</u> რამდენადაც საკლასო ოთახები იძლევა ამის საშუალებას. შენობაში არ არის დამონტაჟებულია ცენტრალურ გათბობის სისტემა. ზამთრის პერიოდში სკოლა თბება დიდი ელექტროგამათბობლებით, რისთვისაც სკოლის მფლობელობაშია 25 დიდი ელექტროგამათბობელი. <u>ექსპერტთა მიერ სკოლას მიეცა რეკომენდაცია ცენრალური გათბობის დამონტაჟებასთან დაკავშირებით, რაც მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხოებას.</u> სანიტარული კვანძები განთავსებულია (3-3 კაბინა გოგონებისათვის და ვაჯებისთვის) ეზოში და ასევე მესამე სართულზე (2-2 კაბინა გოგონებისათვის და ვაჟებისთვის). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მიერ შემუშავებულ 2022 წლის სამოქმედო გეგმაში სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად გაწერილია - ამოცანა 2.6 სკოლის ცენტრალური გათბობით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	უზრუნველყოფა, რომლის შესრულებაც იგეგმება 2023 წლის იანვარში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ელექტროენერგიის და წყლის გადახდის ქვითრები; • სს ეპ ჯორჯიასთან და შპს ბათუმის წყალთან გაფორმებული ხელშეკრულებები; • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები; • 2022-2023 ს/წლის სამოქმედო გეგმა.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის მესამე სართულზე და მასში დაცულია 2188 წიგნადი ერთეული, მათ შორის ყველა საფეხურისა და საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 1 ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ელექტრონულად არის აღნუსხული. ასევე, შემუშავებულია და მოქმედებს წიგნის გაცემა-მიღების ფორმულარები. ბიბლიოთეკის საქმიანობას არეგულირებს დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, ბიბლიოთეკაში გამოკრულია მუშაობის საათები და სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. <u>ბიბლიოთეკარის მოვალეობები გაწერილია შინაგანაწესში, თუმცა ჩანაწერი ძალიან ზოგადია და ექსპერტთა მოსაზრებით, სასურველია უფრო დეტალურად გაიწეროს მისი</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	უფლება-მოვალეობები, რაც ბიბლიოთეკის დებულებითაც არის განსაზღვრული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები; • ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი; • წიგნის გაცემა-მიღების ფორმულარები; • საბიბლიოთეკო საინვენტარო წიგნი; • სასაქონლო ზედნადებები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შესასვლელ კართან დამონტაჟებულია მყარი, ხოლო სართულებზე ასასვლელ კიბეებზე მოძრავი პანდუსები. სკოლის მესამე სართულზე განთავსებულ სველ წერტილებში დამონტაჟებულია სახელურები შშმ პირთათვის, თუმცა სველი წერტილები ადაპტირებულად ვერ ჩაითვლება, რამდენადაც მათში ეტლით შესვლა შეუძლებელია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 ს/წლის სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმად 2022 წლის იანვარში იგეგმება ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა. სკოლას ამ ეტაპზე სსსმ და შშმ პირი არ ჰყავს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები; • პანდუსების ფლობის დოკუმენტაცია; • მიღება ჩაბარების აქტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განსახორციელებლად სკოლას აქვს: ინტერნეტში ჩართული 16 კომპიუტერი, მათ შორის, 1 კომპიუტერი განთავსებულია ბიბლიოთეკაში, 1 სამასწავლებლოში, 14 ისტ-ის კაბინეტში. სკოლას აქვს ასევე 3 მულტიფუნქციური პატარა პრინტერი და 1 პროექტორი. სკოლის ვებგვერდზე http://nergebi.edu.ge/ განთავსებულია: სკოლის მისია და შინაგანაწესი, საგნობრივი კათედრები, კათედრების სამუშაო გეგმები, მასწავლებლები, ფოტო და ვიდეო მასალა. აქვე უნდა ითქვას, რომ ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა ვებგვერდის განახლება. ექსპერტების მხრიდან სკოლას მიეცა რეკომენდაცია ვებგვერდზე სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებთან ერთად აიტვირთოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, შესრულებული სამუშაოს ანგარიშები და ელექტრონული ჟურნალი, უზრუნველყოს ვებგვერდის მუდმივი განახლება, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების სწრაფ და ეფექტიან ინფორმირებულობას. სკოლას აქვს facebook გვერდი, სადაც შექმნილია ჯგუფები კლასების მიხედვით და რომელიც ასევე ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას. სკოლის ელექტრონული ფოსტაა: nergebib@gmail.com.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის ვებგვერდი http://nergebi.edu.ge/;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სკოლის facebook გვერდი; • სკოლის ელექტრონული ფოსტა nergebib@gmail.com • ვიზუალური დათვალიერების შედეგები; • ვებგვერდის და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა - სკოლის მიერ შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის და პირველადი სამედიცინო დახმარების მექანიზმები, რომელიც დამტკიცებულია შპს ნერგების დირექტორის ბრძანებით 2021 წლის 01-03/39. შენობაში განთავსებულია წესების დაცვით დატენილი, ვადიანი ცეცხლმაქრები (6), თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112). სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის საჭიროებისამებრ განახლება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის და პირველადი სამედიცინო დახმარების მექანიზმები; • ვიზუალური დათვალიერების შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმები, რომლებიც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის - საქართველოს მთავრობის დადგენილება №370 (დანართი N1) - სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ - თანახმად არის შემუშავებული. სკოლას აქვს სათადარიგო გასასვლელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი. სკოლას ჰყავს ექიმი (პედიატრი), რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. ოთახში განთავსებულია სამედიცინო ტახტი, წამლების კარადა, მაცივარი, მაგიდა, საკაცე, დამონტაჟებულია ონკანი. დადგინდა, რომ ექიმი აღრიცხავს ჩატარებულ მიმართვიანობას და გაცემულ პრეპარატებს, წამლების ჩამოწერას და მიღებას. სკოლის დირექტორის ბრძანებით N 01-03/16 დამტკიცებულია შპს „ნერგების“ სამედიცინო კაბინეტის დებულება, რომლითაც განსაზღვრულია კაბინეტის აღჭურვილობის ნუსხა, მედიკამენტების ჩამონათვალი და ექიმის მოვალეობები. დოკუმენტის თანახმად და გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ სხვა საკითხებთან ერთად ექიმის მოვალეობებში შედის ზედამხედველობა სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეებში ჰიგიენური უნარჩვევების გამომუშავების ხელშემწყობი აქტივობების განხორციელება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სამედიცინო დახმარების მექანიზმები; • სკოლის შინაგანაწესი; • ჩანაწერების ჟურნალი; • სამედიცინო კაბინეტის დებულება; • ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს - უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი, რომელიც საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ პირველი მუხლის მე - 4 პუნქტის შესაბამისად შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (07.06.2022 N608199). წესრიგის დაცვას სკოლაში უზრუნველყოფენ დამრიგებლები. ისინი ახორციელებენ კონტროლს და ზრუნავენ კლასში სასწავლო პროცესის დისციპლინის დაცვა–დამკვიდრებაზე, ეხმარებიან კლასის მასწავლებლებს სასწავლო–აღმზრდელობითი მუშაობის სწორად განხორციელებაში, აკონტროლებენ სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა გაცდენა-დაგვიანებებს, დაუყოვნებლივ უზრუნველყოფენ მშობლის ინფორმირებას, თუ მოსწავლე არ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გამოცხადდა სკოლაში, ან მის ჯანმრთელობას ან პირად უსაფრთხოებას საშიშროება დაემუქრა. შპს „ნერგების“ სკოლის შინაგანაწესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მე-3 ქვეპუნქტის შესაბამისად, სკოლის დირექტორის 2022 წლის 8 სექტემბრის ბრძანებით N01-03/32, დამტკიცებულია პედაგოგთა მორიგეობის განრიგი, რომელზე ზედამხედველობაც ევალება დირექტორის მოადგილეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სადამრიგებლო პროგრამები; • შპს ნერგების უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები; • შინაგანაწესი; • გასაუბრების შედეგები; • სკოლის შინაგანაწესი.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლისა და წარმოდგენილი შესყიდვის დოკუმენტაციებით დგინდება, რომ სკოლას აქვს უსაფრთხოების 12 კამერა, მათ შორის 5 უზრუნველყოფს სკოლის გარე პერიმეტრის კონტროლს, ხოლო 7 შიდა პერიმეტრს აკონტროლებს. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა რეკომენდაციით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლამ დამატებით შეიძინა 4 ვიდეოთვალი კიბის უჯრედების უკეთ გასაკონტროლებლად. სათვალთვალო კამერების პარამეტრები შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კამერების კონტროლს ახორციელებს უსაფრთხოების მენეჯერი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ფაქტობრივი მდგომარება; • ვიდეო-სამეთვალყურეოს სისტემის ფლობის დოკუმენტაცია; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ წარმოადგინა გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი მარეგულირებელი დოკუმენტი შინაგანაწესის სახით, რომელიც განხილულია 2022 წლის 8 სექტემბრის N 1 სხდომაზე და დამტკიცებულია შპს ნერგების დირექტორის ბრძანებით. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს სკოლაში დასაქმებულ პირთა შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, სკოლის სტრუქტურას და სტრუქტურული ერთეულების, საგნობრივი კათედრების, დამრიგებლების, მასწავლებლების და მოსწავლეების, პედაგოგიური საბჭოს, უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობებს, სახდელებს შრომის დისციპლინის დარღვევისთვის, წახალისების ფორმებს დ.ა.შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შინაგანაწესი უზრუნველყოფს შრომის დისციპლინის დაცვას, არეგულირებს სასწავლო/სამუშაო დროს, აწესრიგებს სკოლის გამართულ მუშაობას. დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის და კლასიდან კლასში გადაყვანის წესები, სასწავლო წლის და არდადეგების ხანგრძლივობა. სკოლის შინაგანაწესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე, სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. სკოლის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები, დისციპლინური დევნა და სახდელი, ასევე წახალისების ფორმები შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ექსპერტთა მიერ განხორციელდა შინაგანაწესით განსაზღვრული და ხელშეკრულებებში აღწერილი მოვალეობების შედარება/შემოწმება, რამაც გამოავლინა, რიგი უზუსტობები, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა რეკომენდაცია: შესაბამისობაში მოვიდეს შინაგანაწესით და ხელშეკრულებებში გაწერილი მოვალეობები ერთმანეთთან. სკოლაში საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის შემუშავებულია ასევე სხვადასხვა დებულება: ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება; პედსაბჭოს დებულება; კათედრის დებულება; ბიბლიოთეკის დებულება, ერთიანი საქმისწარმოების დებულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „ნერგების“ შინაგანაწესი; • შპს „ნერგების“ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• კათედრის დებულება; • ბიბლიოთეკის დებულება; • ერთიანი საქმისწარმოების დებულება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ თვითშეფასებასთან ერთად წარმოადგინა 2022-2028 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების და 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმები, რომლებიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ 2021 წლის 09 სექტემბერს. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა ასევე 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაც, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით (N01-03/26 8 სექტემბერი). ექსპერტთა მიერ შემოწმებული 2022-2028 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაში 4 ძირითადი მიზანია წარმოდგენილი: **სტრატეგიული მიზანი N1** სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლებისა და ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა **სტრატეგიული მიზანი N2** მატერიალური ბაზის გაუმჯობესება **სტრატეგიული მიზანი N3** უსაფრთხო გარემოს დამკვიდრება და უზრუნველყოფა **სტრატეგიული მიზანი N 4**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარება’ მიზნები ჩაშლილია ამოცანებად, განსაზღვრულია მოსალოდნელი შედეგები, შემსრულებელი პირები, მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები. გეგმაში მითითებული ამოცანების შესრულება ექვსივე წელზეა გათვლილი. ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია ამოცანების განხორციელება დროში ზუსტად გაიწეროს. მაგ: ამოცანა -ყველა მოსწავლეზე, სკოლაში მომუშავე პერსონალსა და მშობლებზე მორგებული კრიზისის მართვის პოლიტიკის შემუშავება - ვერ იქნება გაწერილი 6 წელიწადზე, რამდენადაც პოლიტიკის დოკუმენტი შეიძლება ერთჯერადად შეიქმნას. ასევე: პროექტორების და მონიტორების შეძენა - ყოველ წელს ვერ მოხერხდება, შესაბამისად სასურველია განისაზღვროს კონკრეტული ვადა და ა.შ. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასევე 4 მიზანია წარმოდგენილი და რიგი შესასრულებელი საკითხებისა, ვადაში ასევე არამიზნობრივად არის გაწერილი. მაგ: მატერიალური და ადამიანური რესურსების უსაფრთხოების მიზნით სახანძრო - საევაკუაციო სისტემის გამართვა და შესაბამის სამსახურთან ხელშეკრულების გაფორმება სათანადო მომსახურეობის გაწევის მიზნით, დამატებით სამი ვიდეო კამერის დამონტაჟება - მთელ წელზე ვერ იქნება გაწერილი, ხოლო ამოცანა - სკოლის კეთილმოწყობა, მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება, საკლასო ოთახების სანიტარული წესით დამუშავება . მიმდინარე რემონტის ჩატარება, სანიტარულ - ჰიგიენური კვანძების შერემონტება, მათ შორის სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა (სველი წერტილი, პანდუსი), რომელიც ასევე მთელ წელიწადზეა გათვლილი, სასურველია დაიყოს, ან ამოცანა შეიცვალოს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განზოგადდეს, ხოლო მასში ჩამოთვლილი პუნქტები შესასრულებელ აქტივობებად და დროში გაიწეროს. ექსპერტთა მიერ სკოლას მიეცა რჩევა - სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული ამოცანები დროში შესაბამისად გაწეროს და სამოქმედო გეგმაში გაჩნდეს პუნქტი შესასრულებელი აქტივობები, რომლებიც დროში ასევე რეალურად იქნება გაწერილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა; • 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა; • 2022-2028 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია ერთიანი საქმისწარმოების დებულება, რომელიც შესაბამისობაშია არსებულ კანონმდებლობასთან. დებულების თანახმად მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. კორესპონდენციები დანომრილი და ზონარგაყრილია. ისინი დამოწმებულია დირექტორის ბეჭდით: • განცხადებების წიგნი; • ანბანური წიგნი; • შემოსული კორესპონდეციების აღრიცხვის ჟურნალი; • გასული კორესპოდენციების აღრიცხვის ჟურნალი; • მოსწავლეთათვის ცნობების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალი; • მასწავლებლებისათვის ცნობების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• მოსწავლის ჩარიცხვა-ამორიცხვის რეგისტრაციის ჟურნალი; • საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც პასუხისმგებელია ასევე ადამიანური რესურსის პირადი საქმეების წარმოებაზე. მასთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შემოსული და გასული კორესპონდეციების, ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალები; • საქმისწარმოების დებულებს ერთიანი წესი;
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	• სკოლას მიეცა რეკომენდაცია - დროულად უზრუნველყოს ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა.
რჩევები:	• ბიბლიოთეკარის მოვალეობები გაწერილია შინაგანაწესში, თუმცა ჩანაწერი ძალიან ზოგადია და ექსპერტთა მოსაზრებით, სასურველია უფრო დეტალურად გაიწეროს მისი უფლება-მოვალეობები, რაც ბიბლიოთეკის დებულებითაც არის განსაზღვრული. • სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული ამოცანები დროში შესაბამისად გაიწეროს და სამოქმედო გეგმაში გაჩნდეს პუნქტი შესასრულებელი აქტივობები, რომლებიც დროში ასევე რეალურად იქნება გაწერილი.
ხარვეზები:	სკოლას არ აქვს აქვს ადაპტირებული სველი წერტილი
სტანდარტის შეფასება	**☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☒ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას სასწავლო პროცესის წარმართვისათვის ჰყავს 37 თანამშრომელი, ერთი ფინანსური მენეჯერი, ერთი დირექტორი, ერთი უსაფრთხოების მენეჯერი, ერთი ფსიქოლოგი, ერთი IT მენეჯერი, ერთი ტექნიკური-დამხმარე-მუშა, ერთი ბიბლიოთეკარი, ერთი სკოლის ექიმი, ერთი დამლაგებელი, 28 მასწავლებელი, მათ შორის ერთი მასწავლებელი არის დირექტორის მოადგილე, ერთი მასწავლებელი ხარისხის მართვის მენეჯერი, ერთი კი საქმის მწარმოებელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• თანამშრომელთა პირადი საქმეები; • თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან; • ინტერვიუ მასწავლებლებთან.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	28
მოწვეული/მაძიებელი/უსტატუსო	1 მოწვეული / 3 მაძიებელი / 7 უსტატუსო
პრაქტიკოსი მასწავლებლი	
უფროსი მასწავლებლი	17
წამყვანი მასწავლებლი	-
მენტორის სტატუსი	-

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. 28 მასწავლებლიდან, 7 მასწავლებელი არის უსტატუსო, 3 მაძიებელი, 1 მოწვეული. 7 უსტატუსო მასწავლებლიდან 4 მასწავლებელს დადასტურებული აქვს საგნობრივი კომპეტენცია 10 კრედიტზე და გაგზავნილია წერილი სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში, შესაბამისი (უფროსი) სტატუსის მოთხოვნით. 1 უსტატუსო მასწავლებელს გავლილი აქვს 60 კრედიტიანი ინტეგრირებული საბაკალავრო პროგრამა, და მომავალ სასწავლო წელს გეგმავს საგნობრივი კომპეტენციის დადასტურებას. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში გაირკვა, რომ მასწავლებლები მომავალში გეგმავენ პროფესიულ წინსვლას, ხოლო ამ ეტაპზე მათთან გაფორმებულია კანონის შესაბამისი ხელშეკრულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• თანამშრომელთა პირადი საქმეები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები; • საშტატო განრიგი და მასწავლებელთა სათობრივი დატვირთვა; • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან; • ინტერვიუ მასწავლებლებთან.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას დირექტორის ბრძანებით აქვს დამტკიცებული თანამშრომელთა შერჩევის წესი. ვაკანტური ადგილის დასაკავებლად სკოლა კონკურსს აცხადებს დასაქმების ვებგვერდზე - www.pedagogi.ge -ზე. სკოლის შინაგანაწესის მეხუთე თავი მთლიანად ეთმობა სკოლაში თანამშრომელთა წახალისებისა და სანქციების ფორმებს. შინაგანაწესში წარმოდგენილი წახალისების ფორმებია: ა. მადლობის გამოცხადება ბ. სიგელით დაჯილდოება გ. ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება დ. ერთჯერადი (ფოლადი) პრემიის გაცემა; ე. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. შინაგანაწესის მუხლები 15-22 -მთლიანად ეთმობა დისციპლინური წარმოების წესს, სადაც დეტალურადაა აღწერილი დისციპლინური გადაცდომების ფორმები და შესაბამისი რეაგირება-სახდელები ვადის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დირექტორის 2022 წლის 14 ივნისის ბრძანება N01-03/03 შპს ნერგების ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ; • სკოლის შინაგანაწესი (თავი5. წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა); • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან; • ინტერვიუ მასწავლებლებთან.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა ნერგების ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, რომელიც შედგენილია შრომის კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულება შეიცავს ზოგად დებულებას, მხარეთა უფლება მოვალეობას, სამუშაო ადგილსა და დროს, დასვენების დროს, ანაზღაურების ოდენობასა და წესს, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესს, მხარეთა პასუხისმგებლობის წესს, ხელშეკრულების მოქმედების ვადას და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას, მხარეთა რეკვიზიტებსა და ხელმოწერას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• თანამშრომელთა პირადი საქმეები; • თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები; • საშტატო განრიგი და მასწავლებელთა სათობრივი დატვირთვა; • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ინტერვიუ თანამშრომლებთან.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმები, ამ მიზნით სკოლას შექმნილი აქვს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც პერიოდულად იკრიბება და განიხილავს გაკვეთილის-პრობლემურ საკითხებს. ჯგუფის მუშაობას არეგულირებს „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის“ დებულება. პირველი შეხვედრის ოქმის ჩანაწერით ირკვევა, რომ ჯგუფი შეიკრიბა საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების გასაანალიზებლად. ამავე ჯგუფის მეორე შეხვერაზე დამტკიცდა ხარისხის განვითარების ჯგუფის გეგმა. ჯგუფის წევრებმა გამოკვეთეს კონკრეტული მიმართულებები: გაკვეთილზე დაკვირვება/შეფასება; მასწავლებელთა შიდა შეფასება; პროფესიული განვითარების მიზნით რეკომენდაციის გაცემა; მასწავლებლის საქმიანობის შეფასება; ამავე ჯგუფის მიერ წარმოებულ მესამე ოქმში მოცემულია განვილილი 2021-2022 სასწავლო წლის პირველი სემეტრის ანგარიში. ანგარიშში გადმოცემულია შესრულებული სამუშაოების აღწერა და არსებული მტკიცებულებები. მაგალითად ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა - 4 შიდა დაკვირვება. მტკიცებულება - სამუშაო გეგმა, შეხვედრის ოქმი, გაკვეთილზე დაკვირვება და ა.შ. სკოლას წარმოდგენილი აქვს ასევე მასწავლებლების (ინდივიდუალური) პროფესიული განვითარების გეგმები. ამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გეგმებში მოცემულია მასწავლებლის მიერ გასახორციელებელი აქტივობები, განხორციელების ვადები და რეკომენდაცია/შენიშვნები. გარდა ამისა სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ საქმის მწარმოებელს გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგი, ხოლო მომავალ სასწავლო წელს იგეგმება სკოლის ექიმის გადამზადება შესაბამისი ტრენინგკურსებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები; • „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის“ დებულება. • „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის“ პორტფოლიო; • მასწავლებლის (ინდივიდუალური) პროფესიული განვითარების გეგმა; • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან; • ინტერვიუ მასწავლებლებთან.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგებით, ასევე წარმოდგენილ ანგარიშებში აღწერილი აქტივობებით, თუ სამოქმედო გეგმაში აღწერილი განსახორციელებელი ამოცანებით დასტურდება, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლაში თანამშრომლობითი გარემოა და დირექცია მუდმივად ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე. მშობლებთნ გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ სკოლა მუდმივად ზრუნავს მათი შვილებისთვის ხარისხიანი განათლების მიცემაზე და რომ მათი შვილები ყოველმხრივ დაცულები არიან. მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები ეხმარებიან მათ სირთულეების დაძლევაში, საჭიროების შემთხვევაში უტარებენ ინდივიდუალურ დამატებით გაკვეთილებს და ითვალისწინებენ მათ ინტერესებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მშობლებთან, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	**☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ სტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

გვერდების რაოდენობა - 57

თბილისი, 08.10.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.